№13 2016 წლის 8 იანვარი ქ. თბილისი

აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკში საქართველოს მხარის მმართველისა და ალტერნატიული მმართველის დანიშვნის და საკომუნიკაციო უწყების განსაზღვრის შესახებ

1. 2015 წლის 29 ივნისის „აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკის სადამფუძნებლო შეთანხმების“ 22-ე მუხლის შესაბამისად:

ა) დაინიშნოს საქართველოს ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკში საქართველოს მხარის მმართველად;

ბ) დაინიშნოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკში საქართველოს მხარის ალტერნატიულ მმართველად.

2. 2015 წლის 29 ივნისის „აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკის სადამფუძნებლო შეთანხმების“ 33.1 მუხლის შესაბამისად, აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკთან საკომუნიკაციო უწყებად განისაზღვროს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**